ხელშეკრულება N 3
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. დუშეთი 30.01.2015 წელი

საქართველოს კანონის ``სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით CPV 09100000

ერთის მხრივ სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელ ბულაჩაურის საჯარო სკოლის წარმოდგენილი სოფიო ფრიდონაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, შპს „სტ-ოილი“-ს წარმომადგენელი თეიმურაზ მირესაშვილი შემდგომში „მიმწოდებელი“, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს **საწვავის** მიწოდებას შემდგომში "საქონელი ან მომსახურება", ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. საქონლის ან მომსახურების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს - **30 (ოცდაათი) ლარს**

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში
3.2. მიწოდების ადგილია: დუშეთის რ-ნი სოფ. არაგვისპირი

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის ან მომსახურების მიწოდების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარება

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს მიწოდებული საქონლის მიხედვით.
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხი. კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი
6.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
6.3. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტი	შპს „სტ-ოილი“
სოფელ ბულაჩაურის საჯარო სკოლა	
ს.ს „ ლიბერთი ბანკი“ –ს დუშეთის ფილიალი	ს.ს „ ლიბერთი ბანკი“ –ს მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE 22	ბანკის კოდი LBRTGE 22
ა/ა GE26LB0121113575810000	ა/ა GE76LB0113171202103000
ს/კ 229322346	ს/კ 205169066
----------	----------
ს. ფრიდონაშვილი	თ. მირესაშვილი

მიღება ჩაბარების

ა ქ ტ ი

02.02.2015 წელი ს.არაგვისპირი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ მიმწოდებელი შპს „სტ–ოილი“ წარმომადგენელი თემური მირესაშვილი და მეორეს მხრივ შემსყიდველი სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელ ბულაჩაურის საჯარო სკოლა წარმომადგენელი სოფიო ფრიდონაშვილის სახით ვადგენთ ამ აქტს შემდეგზე შპს „სტ–ოილი“ თანახმად წინასწარ დადებული ხელშეკრულებისა შემსყიდველს სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელ ბულაჩაურის საჯარო სკოლას ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწვავი დანართი 1 შესაბამისად

დანართი 1

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	თანხა ლარი
1.	დიზელი	09100000	20 ლიტრი	1,50 ლარი	30-00
სულ;					30-00

აქტი სწორეა და ვადასტურებთ ხელის მოწერით.

„შემსყიდველი“
სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტი
სოფელ ბულაჩაურის საჯარო სკოლა

დირექტორი

„მიმწოდებელი“
შ.პ.ს „სტ–ოილი“

დირექტორი